



საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 4/35

21 " 12 2015

პრეზიდიუმის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრის საჩივრის ნაწილობრივ
დაკმაყოფილების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი
შემდეგი შემადგენლობით:

1. ლაშა თორდია - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი, პრეზიდიუმის სხდომის თავმჯდომარე;
2. დავით მჭედლიშვილი - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
3. დევი ვეფხვაძე - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
4. გიორგი ჯანჯღავა - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
5. თორნიკე შერმადინი - ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
6. ირაკლი წიწილაშვილი - ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
7. ვაჟა ბრაცვაძე - თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
8. ზაზა შეყილაძე - სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
9. ზურაბ აზნაურაშვილი - პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

10. სოსო გაბუნია - შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
11. გიორგი გაჩეჩილაძე - ადმინისტრაციის უფროსი;
12. დავით კაპანაძე - საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

საჩივრის ავტორი: სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (შემდგომში - სწავლების ცენტრი).

წარმომადგენლები: სწავლების ცენტრის დირექტორი ნათია ზაალიშვილი;
ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი გიორგი ეზუგბაია (პირადი N62001037241, მინდობილობა N200; 18.12.2015წ.);

ადმინისტრაციული განყოფილების მთავარი ბუღალტერი ლალი პერტაია (პირადი N01012016192, მინდობილობა N200; 18.12.2015წ.).

მოწინააღმდეგე მხარე: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი.

წარმომადგენლები: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი ფრიდონ შენგელია;

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აუდიტორი მერაბ ზაიცვეი;

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აუდიტორი ლაშა ჭანტურიშვილი;

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის აუდიტორ-ასისტენტი ვახტანგ პერტაია.

დაინტერესებული პირები:

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები:

მანანა ლომინაძე - სამოქალაქო განვითარების ქართულ-ბერძნული ფონდი;

ირინა ფუტკარაძე - ორგანიზაცია საზოგადოებრივი დამცველი;

ემზარ ფაფავა - ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია;

ნინო სოხაძე - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურსცენტრი;

ქეთევან ჩაჩავა - CCD განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი;

ია მამალაძე - "POST-ალიონი"

გასაჩივრებულ აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილი განცხადებები:

CDD განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის თავმჯდომარის ქეთევან ჩაჩავას განცხადება (N1215/0136; სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N2691/01);

ორგანიზაცია საზოგადოებრივი დამცველის გამგეობის თავმჯდომარის ირინა ფუტკარაძის განცხადება (Nა/157; სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N2596/01);

ISFED სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორის ნინო ლომჯარიას განცხადება (N01/96/15; სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N2673/01);

MDF მედიის განვითარების ფონდის დირექტორი თამარ კინწურაშვილის განცხადება (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N2597/01);

ააიპ „ბორჯღალი“-ის თავმჯდომარის ილია გუჩმანიძის განცხადება (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N2650/01);

სამოქალაქო განვითარების ქართულ-ბერძნული ფონდის „გეორგია-ელადა“ თავმჯდომარის მანანა ლომაძის განცხადება (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N2775/01).

დავის საგანი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2015 წლის 10 ნოემბერს დამტკიცებული „ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013-2014 წლების შესაბამისობის N65/00 აუდიტის ანგარიში“.

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმს 2015 წლის 2 დეკემბერს N182 საჩივრით მიმართა სწავლების ცენტრმა (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N2551/01; 02.12.2015წ.) და მოითხოვა აუდიტის ანგარიშის ქვემოთ მოყვანილი საკითხების გაუქმება/შეცვლა/დაზუსტება, მათი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლოების გამო, კერძოდ:

1. ქვეთავი - „საგრანტო თანხის მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებულად ხარჯვა“

1.1. საჩივრის ავტორი არ იზიარებს აუდიტის ანგარიშში მოცემულ შეფასებას იმის შესახებ, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ ბიუროს მიერ შედგენილი დასკვნები არ ითვალისწინებს საგრანტო თანხების მიზნობრივი ხარჯვის დადგენას. ამ საკითხთან დაკავშირებით საჩივრის ავტორს მოჰყავს შემდეგი დასაბუთება:

2013-2014 წლების საგრანტო კონკურსის დებულების მე-11 მუხლის მიხედვით, საგრანტო პროექტზე გაცემული საგრანტო თანხის ხარჯვა უნდა მოხდეს მიზნობრივად პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად. ამავე დებულების მე-13 მუხლის მიხედვით, საგრანტო თანხის მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის ჩასატარებლად ხდება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს, კერძოდ კი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

მოწვევა, რომელსაც გამოსაკვლევად გადაეცემა საგრანტო კონკურსის დებულება, სწავლების ცენტრსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებები, საგრანტო პროექტები თანდართული ბიუჯეტებით, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი ანგარიშები ფინანსურ დოკუმენტაციასთან ერთად.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ საგრანტო თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით შედგენილ დასკვნებში აღნიშნულია, რომ მისი კვლევის საგანია საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრივი საგრანტო თანხების ხარჯვის სისწორის დადგენა, რასაც ექსპერტიზის მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად ბიურო უზრუნველყოფს საგრანტო პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სისრულის შემოწმებითა და ამ ხარჯების საგრანტო პროექტის ბიუჯეტთან შესაბამისობის დადგენით.

იმ ფაქტს, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული ექსპერტიზა არ ატარებს ფორმალურ ხასიათს და ემსახურება სწორედ რომ საგრანტო თანხის მიზნობრივი ხარჯვის დადგენას, ასევე ადასტურებს აღნიშნული ბიუროს მიერ შედგენილი დასკვნები, რომლის საფუძველზეც, მაგალითად, 2013 წელს დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ოთხი ორგანიზაციის მიერ დაბრუნებულ იქნა საგრანტო თანხები, რომლებიც გაიხარჯა საგრანტო პროექტის პირობების შეუსაბამოდ (წარმოდგენილ იქნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის დასკვნა, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ თანხების დაბრუნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

ამდენად, საფუძველს მოკლებულია აუდიტის ანგარიშში მოცემული შეფასება იმის შესახებ, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ეწევა ექსპერტიზის მომსახურებას საგრანტო თანხების ხარჯვის სისწორის დასადგენად, უცნობია, თუ რასთან მიმართებით სისწორის დადგენა ევალება მას და ასეთ პირობებში მისი მხრიდან ხდება ექსპერტიზის ოფიციალური დასკვნების მომზადება.

ამასთან, საჩივრის ავტორი არ იზიარებს აუდიტორულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ექსპერტიზის ჩატარება უნდა შემოიფარგლოს სწავლების ცენტრის მიერ მითითებული მარეგულირებელი ნორმებით. ბიურო დამოუკიდებლად ატარებს ექსპერტიზის მომსახურებას და იგი უფლებამოსილია თავის საქმიანობაში გამოიყენოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი რელევანტური ნორმა, რომელიც უზრუნველყოფს მის მიერ ექსპერტიზის მომსახურების კვალიფიციურად შესრულებას და ამდენად, ამ მიმართულებით დამკვეთის მიერ კონკრეტული მითითების მიცემა გამოიწვევს შემოწმების მასშტაბის შეზღუდვას, რაც საგრანტო თანხების მიზნობრივი ხარჯვის შესწავლის ინტერესისთვის გაუმართლებელია.

საჩივრის ავტორი ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2014 წლის აუდიტის ანგარიშში, რომელიც მოიცავს 2011-2012 წლების პერიოდს, ასევე იყო შესწავლილი საგრანტო თანხების ხარჯვის საკითხი, მათ შორის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მხრიდან ექსპერტიზის მომსახურების გაწევა, თუმცა ამ მიმართულებით აუდიტორებს არ გამოუთქვამთ შენიშვნა იმის შესახებ, რომ სწავლების ცენტრსა და ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულებები საგრანტო თანხების სისწორის დადგენაზე არ მოიცავს საგრანტო თანხების ხარჯვის მიზნობრიობის შემოწმებას. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2013-2014 წელს ბიუროს მხრიდან ამავე პირობებით განხორციელდა ექსპერტიზის მომსახურება. ამდენად, გაუგებარია, თუ რატომ გახდა ეს საკითხი პრობლემური მიმდინარე წლის აუდიტის ანგარიშის მიხედვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული საკითხი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

1.2. ანგარიშში აუდიტის ჯგუფი აღნიშნავს, რომ ვერ დარწმუნდა იმაში, რომ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ საგრანტო თანხების ხარჯვა მოხდა მიზნობრივად და ეფექტიანად. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ეს საკითხი არ არის სრულყოფილად გამოკვლეული, მათ შორის, არ იქნა უზრუნველყოფილი აუდიტის პროცესში დაინტერესებული პირების - არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა, რაც შესაძლებელს გახდიდა საკითხის ყოველმხრივ შესწავლას დასაბუთებული აუდიტორული რწმუნების მისაღებად.

საჩივრის ავტორის მიერ წარდგენილ იქნა მტკიცებულებები და არგუმენტაცია აუდიტის ანგარიშში არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ განხილულ კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით:

ა) საზოგადოებრივი დამცველი

აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შეუძლებელია დადგინდეს ააიპ „საზოგადოებრივი დამცველის“ მიერ „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტისათვის“ 28 627 ლარის გადარიცხვის საფუძველი და ამ ინსტიტუტის მიერ გაწეული მომსახურება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებს:

- სწავლების ცენტრსა და ააიპ „საზოგადოებრივ დამცველს“ შორის 2014 წლის 11 აპრილს გაფორმებული N3 საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი

საკონკურსო დოკუმენტაცია (საგრანტო განაცხადი, საგრანტო პროექტი და პროექტის ბიუჯეტი).

- წარმოდგენილ საგრანტო პროექტში ცალსახად აღნიშნულია, რომ პროექტი ხორციელდება კოალიციურად - ააიპ „საზოგადოებრივი დამცველისა“ და „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ მიერ (პროექტის შემსრულებლების პუნქტში სახელობითად არის მითითებული ორივე ორგანიზაციის წარმომადგენელი პირები და წარმოდგენილია მათი CV-ები). აღნიშნული კვლევის ინსტიტუტი პროექტის მიხედვით უზრუნველყოფს სოციოლოგიურ კვლევას.

- წარმოდგენილი პროექტის ბიუჯეტის მიხედვით არის გამოყოფილი სოციოლოგიური კვლევისთვის აუცილებელი თანხა 28 627 ლარის ოდენობით (პროექტის ბიუჯეტს თან ერთვის თავად სოციოლოგიური კვლევის ფინანსური ხარჯის დეტალური ნაწილი).

- ააიპ „საზოგადოებრივი დამცველის“ შემაჯამებელ ფინანსურ ანგარიშში წარმოდგენილია ასევე ხელშეკრულება ზემოაღნიშნულ ორ ორგანიზაციას შორის, რომლის პირობებშიც შესრულდა სოციოლოგიური კვლევა და ამ მომსახურებისთვის გადახდილ იქნა 28 627 ლარი (წარმოდგენილია ამ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული გადარიცხვების დამადასტურებელი დოკუმენტები და ანგარიშგაქტურა; ასევე, კვლევის ინსტიტუტის მიერ გაწეული ხარჯების ფინანსური ანგარიში).

- პროექტის შესრულება, მათ შორის სოციოლოგიური კვლევის ჩატარება დასტურდება ააიპ „საზოგადოებრივი დამცველის“ მიერ წარმოდგენილი შემაჯამებული ანგარიშით, მათ შორის, პროდუქტის სახის წარმოდგენილი კვლევის სახელმძღვანელოთი (GEO, ENG, AZR, ARM ენებზე), რომელიც განთავსებულია სწავლების ცენტრის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში. პროექტის შესრულების პრეზენტირება საჯაროდ მოხდა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სწავლების ცენტრის ვებგვერდზე და ააიპ „საზოგადოებრივი დამცველის“ ვებგვერდზე.

- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით დარღვევები არ ფიქსირდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტისათვის“ 28 627 ლარის გადარიცხვის საფუძველი და ამ ინსტიტუტის მიერ გაწეული მომსახურება. ამდენად, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული საკითხი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა (წარმოდგენილ იქნა დამადასტურებელი დოკუმენტაცია 36 ფურცლად, ასევე კვლევის სახელმძღვანელო 142 ფურცლად).

ბ) გენდერული კულტურის ცენტრი

- აუდიტის ანგარიშის მიხედვით, საგრანტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2 თვითა და 20 დღით, თუმცა ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი გაწერილია 3 თვეზე.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საგრანტო პროექტი უკავშირდებოდა ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებისა და აქტივობის ზრდის ხელშეწყობას 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. საგრანტო კონკურსის გამოცხადების მომენტისთვის (21 ივნისი) ცნობილი არ იყო 2013 წლის ოქტომბერში გასამართი პრეზიდენტის არჩევნების ზუსტი თარიღი. სწორედ ამის გათვალისწინებით, კონკურსის პირობებში ჩაიდო, რომ პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა განისაზღვროს 2013 წლის 25 ივლისიდან - 15 ოქტომბრის ჩათვლით, თუმცა ასევე ჩაიდო დამატებითი პირობა, რომ პრეზიდენტის არჩევნების ზუსტი თარიღის განსაზღვრის შემდგომ შეიძლება მომხდარიყო პროექტის ხანგრძლივობის წანაცვლება მისი მიზნებიდან გამომდინარე. სწორედ აღნიშნულ გარემოებასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, ორგანიზაციის მიერ საგრანტო პროექტის სწავლების ცენტრში წარმოდგენის მომენტისთვის (2013 წლის 8 ივლისი) უკვე ცნობილი იყო პრეზიდენტის არჩევნების თარიღი (2013 წლის 27 ოქტომბერი), შესაბამისად ამოქმედდა კონკურსის დამატებითი პირობა და პროექტის ხანგრძლივობის წანაცვლება მოხდა სამი თვის გაანგარიშებით (2013 წლის 25 ივლისიდან - 25 ოქტომბრის ჩათვლით, ნაცვლად 15 ოქტომბრისა). აღნიშნული ემსახურებოდა იმას, რომ პრეზიდენტის არჩევნების თარიღთან მაქსიმალურად ახლო პერიოდში განხორციელებულიყო ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებასა და აქტივობის ზრდის ხელშეწყობაზე ორიენტირებული საგრანტო პროექტის საინფორმაციო ღონისძიებები. მოყვანილი გარემოებები ცხადყოფს, რომ ბიუჯეტის პროექტის გაწერა სამ თვეზე სრულად შესაბამისობაშია კონკურსის მოთხოვნებთან და პასუხობს იმ ძირითად ამოცანას, რომელიც უკავშირდებოდა ამომრჩეველის ცნობიერების ამაღლებას პრეზიდენტის არჩევნებისთვის.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რომელიც ზემოაღნიშნული დამატებითი საკონკურსო პირობის გათვალისწინებით გაწერილი იყო სამ თვეზე, წარმოადგენს საგრანტო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

- აუდიტის ანგარიშის მიხედვით, არ არის წარმოდგენილი თეატრალური დასის წევრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ მიერ 8400 ლარის ღირებულების მომსახურების გაწევაზე.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ თეატრალური დასის წევრებზე ხელფასის დარიცხვისა და გაცემის უწყისი (8400 ლარის ოდენობით), ასევე, თეატრალური დასის წევრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

- აუდიტის ანგარიშის შესაბამისად, საბანკო ამონაწერის მიხედვით თანხა გადარიცხულია პროექტის დირექტორის პირად ანგარიშზე.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ აუდიტის ანგარიშში არასწორად არის აღწერილი ფაქტობრივი გარემოება. კერძოდ, სწავლების ცენტრის მიერ თანხა ჩარიცხულია არასამთავრობო ორგანიზაციის, როგორც იურიდიული პირის საბანკო ანგარიშზე; არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან არ განხორციელებულა თანხის გადარიცხვა პროექტის დირექტორის პირად ანგარიშზე. ორგანიზაციის საბანკო ამონაწერით მხოლოდ ის დასტურდება, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, როგორც უფლებამოსილი პირი, ახორციელებდა სალარო ოპერაციას და პროექტის საჭიროებისამებრ ბანკიდან გამოჰქონდა თანხა (რაც ნებადართულია კანონმდებლობით), ხოლო ამ თანხის ხარჯვა/გაცემა დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით (თანხის ხელზე გაცემის უწყისები, გადახდის ჩეკები).

- აუდიტის ანგარიშის მიხედვით, 2498 ლარის საწვავი შეძენილია პროექტის დამთავრებამდე 15 დღით ადრე.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ თანხით საწვავის შეძენა მოხდა 30 სექტემბერს, ხოლო პროექტი, როგორც ზევით უკვე აღინიშნა, დასრულდა 25 ოქტომბერს (მამასადამე, საწვავის შეძენა მოხდა პროექტის დასრულებამდე ერთი თვით ადრე).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული საკითხი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა (წარმოდგენილ იქნა დამადასტურებელი დოკუმენტაცია 44 ფურცლად).

გ) განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)

- აუდიტის ანგარიშში გამოითქვა შენიშვნა ააიპ „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის“ მიერ შესყიდულ საოფისე ავეჯთან დაკავშირებით, რომ აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა, თუ რამდენად ეკონომიური და პროდუქტიული იყო ამ აქტივების შეძენა.

ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შემოსულია CDD-ის წერილი, სადაც დეტალურად არის აღწერილი მისი ინსტიტუციონალურ-ორგანიზაციული გაძლიერების მიზნებიდან გამომდინარე, საგრანტო პროექტის ბიუჯეტის ფარგლებში, CDD-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად შესაბამისი საოფისე ავეჯის შესყიდვის საკითხები. წერილზე დართული დოკუმენტაცია, მათ შორის, ფოტო მასალა ადასტურებს როგორც ამ ინვენტარზე გაწეული ხარჯის ეკონომიურობას, ისე პროდუქტიულობას.

- აუდიტის ანგარიშის მიხედვით, ოფისის იჯარაზე გახარჯულია 3630 ლარი, აღნიშნული იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა ოთხ თვეზე, მაშინ როდესაც საგრანტო ხელშეკრულების დამთავრებამდე დარჩენილი იყო ერთი თვე და 25 დღე.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ არასამთავრო ორგანიზაციის ინსტიტუციონალური გაძლიერების საგრანტო პროექტი მოიცავდა CDD-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების კომპონენტს, რომლის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ოთხი თვის ხანგრძლივობის საიჯარო ხელშეკრულების დაფინანსების შესაძლებლობა. აღნიშნული საიჯარო კონტრაქტი დაიდო საგრანტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 4 თვის ხანგრძლივობით. შესაბამისად, არანაირ აცდენას საგრანტო პროექტის მიზნებთან, პირობებთან და ბიუჯეტთან ადგილი არ აქვს. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაშიც ამ მიმართულებით დარღვევა დაფიქსირებული არ არის. ამ საკითხზე არანაირ შეფასებას არ შეიცავს არც თავად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული საკითხი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა (წარმოდგენილ იქნა დამადასტურებელი დოკუმენტაცია 13 ფურცლად).

დ) ევროკავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია (ECCA)

- აუდიტის ანგარიშის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციას შეძენილი აქვს 1324 ლარის ღირებულების ციფრული კამერა Samsung Galaxy. აუდიტორთა შეფასების მიხედვით, ისინი ვერ დარწმუნდნენ მსგავსი ტექნიკური მახასიათებლებისა და ღირებულების ფოტოკამერის შეძენის გადაწყვეტილების დასაბუთებულობაში.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია არ არის სწორი, კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციას პროექტის ფარგლებში შეძენილი აქვს ციფრული კამერა Canon EOS და არა Samsung Galaxy და მისი ღირებულება შეადგენს 721 ლარს და არა 1324 ლარს, როგორც ეს აუდიტის ანგარიშშია მითითებული.

- აუდიტის ანგარიშში ასევე აღწერილია გარემოება იმის შესახებ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილია 2350 ლარის ღირებულების საოფისე ავეჯი.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე რაიმე ანალიზი ან შეფასება აუდიტის ანგარიშში არ არის მოცემული. ამდენად, ამ ინფორმაციის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში ასახვა საფუძველს მოკლებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული საკითხი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა (წარმოდგენილ იქნა დამადასტურებელი დოკუმენტაცია 2 ფურცლად).

ე) სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)

- აუდიტის ანგარიშის მიხედვით, აუდიტორები ვერ დარწმუნდნენ პროექტის ფარგლებში ადმინისტრაციული ხარჯების (რეგიონალური ოფისების იჯარა, კომუნალური გადასახადები, ავტომანქანის სერვისული მომსახურება, პრომო-ვიდეო კლიპის დამზადება, ფოტო აპარატის შეძენა) გაწევის აუცილებლობაში.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საგრანტო პროექტი ითვალისწინებდა არასამთავრობო ორგანიზაციის ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობას, სამოქალაქო განათლების სფეროში საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ISFED-ის მიერ გაწეულ იქნა შესაბამისი ადმინისტრაციული ხარჯები, რომლის სისწორეს ადასტურებს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა.

საჩივრის ავტორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ აუდიტის ანგარიშში არანაირი ანალიზი და დასაბუთება არ არის გაკეთებული იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ფიქრობენ აუდიტორები, რომ არ იყო აუცილებელი პროექტის ფარგლებში ადმინისტრაციული ხარჯის გაწევა, მაშინ როდესაც აღნიშნული პირდაპირ წარმოადგენს მათ, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლების ვალდებულებას იხელმძღვანელონ ობიექტური კრიტერიუმებით, მოიყვანონ კონკრეტული გარემოებები, არგუმენტები, გააკეთონ კონკრეტული ანალიზი და შეფასებები, რაც, სამწუხაროდ, ანგარიშში ასახული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული საკითხი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

ვ) სამოქალაქო განვითარების ქართულ-ბერძნული ფონდი „გეორგია-ელადა“

- აუდიტის ანგარიშის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციამ პირადი მოხმარებისთვის შეიძინა 478 ლარის ღირებულების ჰიგიენის საგნები და პროდუქტები.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშში მოყვანილი მტკიცება იმის შესახებ, რომ საკვები პროდუქტები და ჰიგიენის საგნები შეძენილი იყო პირადი მოხმარებისთვის, არის მცდარი. ანგარიშიდან არ ირკვევა, თუ რის საფუძველზე დაადგინა და მიიღო დასაბუთებული რწმუნება აუდიტორმა იმის შესახებ, რომ ეს პროდუქტები და საგნები (მაგალითად, 6 ლარის ღირებულების ტანის დეზოდორანტი) პირადი მოხმარებისთვის იყო შეძენილი.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ დოკუმენტურად დასტურდება, რომ პროდუქტებისა და საგნების შეძენა განხორციელდა საგრანტო პროექტის მიზნებისთვის. კერძოდ, რეგიონებში (წალკა, დმანისი, თეთრიწყარო) ჩატარდა საგანმანათლებლო-საინფორმაციო ღონისძიებები (მრგვალი მაგიდები, დებატები, დისკუსიები, საინფორმაციო

შეხვედრები, საველე სამუშაოები), რისთვისაც გათვალისწინებული იყო ღონისძიებაში მონაწილე პირთა კვებაც („coffee-break“, სადილი). საგულისხმოა, რომ ეკონომიურობის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციამ არ გამოიყენა სარესტორნო და ე.წ. ქეთერინგის მომსახურება, არამედ თავად უზრუნველყო კვების პროდუქტების შეძენა და მომზადება.

საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს აუდიტის ანგარიშში ასახული ინფორმაციის უზუსტობაზე. კერძოდ, აუდიტის ანგარიშის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეძენილ იქნა 3 ცალი გაყვნილი ქათამი, დოკუმენტურად კი დასტურდება, რომ შეძენილ იქნა 2.5 კგ. ქათმის ნაწილთა ასორტი, პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილე პირებისთვის კვებითი მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ასევე, გაუგებარია, აუდიტის ანგარიშში აქცენტირება იმ გარემოებაზე, რომ ვიდუოკამერის შეძენა მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქისგან. ამ საკითხზე რაიმე შეფასება და ანალიზი აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის. ამდენად, ამ ინფორმაციის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში ასახვა საფუძველს მოკლებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული საკითხი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა (წარმოდგენილ იქნა დამადასტურებელი დოკუმენტაცია 41 ფურცლად).

ზ) რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს-ცენტრი

- აუდიტის ანგარიშის მიხედვით 2 206 ლარი გახარჯულია კვების პროდუქტებისა და სამზარეულოს ინვენტარის შესაძენად.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საინფორმაციო ღონისძიებების, ტრენინგების, მრგვალი მაგიდების, საჯარო შეხვედრების ჩატარებას რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ყველა მუნიციპალიტეტში (ამბროლაური, ლენტეხი, ონი, ცაგერი) და მათ სოფლებში. ამ ღონისძიებებში მონაწილე პირებისათვის პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო კვების ხარჯი (3120 ლარი). პროექტს თან ერთვის კვების პროდუქტების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები), რომელიც ადასტურებს 2206 ლარის ხარჯვას პროექტის მიზნებისთვის. გაუგებარია აუდიტორებმა რა მიიჩნიეს გაწეული ხარჯიდან სამზარეულოს ინვენტარად - თუ საუბარია ელექტრო ჩაიდანზე, დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ შეძენილია ორი ჩაიდანი, თითო 45 ლარის ღირებულების, რომელიც გამოყენებულ იქნა პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მონაწილეებისათვის კვებითი მომსახურების უზრუნველსაყოფად.

- აუდიტის ანგარიშის მიხედვით, 2 494 ლარი გახარჯულია საწვავის ტალონების შესაძენად და დოკუმენტაცია არ მოიცავს საწვავის გახარჯვასთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას (განვლილი მანძილის აღრიცხვა, გასვლისა და დანიშნულების ადგილები).

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია საწვავის ტალონების შეძენის დოკუმენტაცია (საწვავის შეძენის ხელშეკრულება, საგადახდო დავალება, ანგარიშ-ფაქტურა, ტალონების მიღება-ჩაბარება), ოთხ მძღოლთან გაფორმებული ხელშეკრულება, ასევე მძღოლებზე გაცემული საწვავის ტალონების მიღება-ჩაბარების აქტები, ორგანიზაციის მიერ წარმოებული მივლინებების ბრძანების ჟურნალი, სადაც ფიქსირდება 90-მდე გასვლა კონკრეტულ რეგიონებსა და სოფლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული საკითხი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა (წარმოდგენილი იქნა დამადასტურებელი დოკუმენტაცია 88 ფურცლად).

თ) ბორჯღალი

- აუდიტის ანგარიშის მიხედვით, არ დასტურდება 2395 ლარის ღირებულების უკაბელო მიკროფონისა და 1500 ლარის ღირებულების სტუდიური განათების შეძენის აუცილებლობა.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის საგრანტო პროექტით გათვალისწინებული იყო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თემაზე ახალგაზრდა ამომრჩევლებისათვის მედია პროდუქტის შექმნა, რომელიც მოიცავდა 15-20 წუთამდე ქრონომეტრაჟის 10 ტელე-სიუჟეტის მომზადებას, რისთვისაც პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად შეძენილ იქნა უკაბელო მიკროფონი და სტუდიური განათება. აღნიშნული სიუჟეტები გავიდა „ტელეარხი 25-ის“ ეთერში.

- აუდიტის ანგარიშის მიხედვით, შეუძლებელია დადგინდეს, ვინ ისარგებლა 2000 ლარის ღირებულების ლანჩისა და 800 ლარის ღირებულების ღამისთევის მომსახურებით.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის საგრანტო პროექტის მიხედვით აპრილი-მაისის პერიოდში ჩატარდა ორკვირიანი (ჯამში 40 საათის ხანგრძლივობის) ტრენინგი პროექტში მონაწილე ახალგაზრდა ე.წ. მთხრობელთათვის, რომლებმაც შემდგომ ეტაპზე მოამზადეს ტელე-სიუჟეტები ახალგაზრდა ამომრჩევლებისათვის არჩევნების თემატიკაზე. ლანჩი გათვალისწინებული იყო ამ ტრენინგის მონაწილეებისათვის.

800 ლარის ღირებულების ღამისთევის მომსახურებით ისარგებლეს პროექტის ფარგლებში მონაწილე პირებმა, მათ შორის, დაქირავებულმა ტრენერებმა/ექსპერტებმა, რაც დასტურდება ინვოისითა და მიღება-ჩაბარების აქტით (5 ადამიანის ღამისთევა).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული საკითხი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა (წარმოდგენილ იქნა დამადასტურებელი დოკუმენტაცია 61 ფურცლად).

ი) მედიის განვითარების ფონდი

▪ აუდიტის ანგარიშის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კონკურსის „ჩემი ლიდერი ქალები“ და ლიდერ ქალთა დაჯილდოვების ცერემონიალის ჩატარებაზე გახარჯულია 9718 ლარი. აუდიტორების შეფასების მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ისინი ვერ დარწმუნდნენ ამ ხარჯების გაწევის აუცილებლობასა და მიზნობრიობაში.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აუდიტორები აპელირებას აკეთებენ კანონმდებლობაზე, თუმცა არ ასაბუთებენ კანონის რომელი ნორმა დაირღვა გაწეული ხარჯების პირობებში.

აღსანიშნავია, რომ პროექტის არსი და მიზანი იყო ქალთა ჩართულობის წახალისება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ლიდერი ქალების გამოვლენა. ბენეფიციართა შორის იყვნენ საქართველოს მთიანი რეგიონის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების, კონფლიქტის ზონის მკვიდრი საქართველოს მოქალაქეები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

პროექტის მიზნიდან გამომდინარე, ჩატარდა კონკურსი. კონკურსის მონაწილეებმა მოამზადეს ბლოგები „ჩემი ლიდერი ქალები“, რომლის მიზანი იყო რეგიონებში ლიდერი ქალების გამოვლენა და წახალისება. კონკურსისთვის შექმნილმა სპეციალურმა ჟიურიმ (შემადგენლობაში შედიოდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, აკადემიური წრის, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები) გამოავლინა 10 საუკეთესო ნამუშევარი და გამარჯვებულ ბლოგერებს და ლიდერ ქალებს გადაეცათ პრიზები.

აუდიტორების მიერ დაჯამებულ 9 718 ლარში შედის: დარბაზის ქირა -1500 ლარი; 10 ცალი ტაბლეტი გამარჯვებული ბლოგერებისთვის (თითო 445 ლარის ღირებულებით); 10 ცალი მობილური ტელეფონი გამარჯვებული ლიდერი ქალებისთვის (თითო 377 ლარის ღირებულებით). დოკუმენტაციაში წარმოდგენილია პრიზების გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტები. აღნიშნული ხარჯი გათვალისწინებული იყო საგრანტო პროექტის ბიუჯეტით.

▪ აუდიტის ანგარიშის მიხედვით შეძენილია 4450 ლარის ღირებულების ელექტროტექნიკა და აუდიტორები ვერ დარწმუნდნენ ამ ხარჯის გაწევის აუცილებლობასა და მიზნობრიობაში.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საგრანტო პროექტის შესაბამისად არასამთავრობო ორგანიზაციამ შეიძინა ელექტროტექნიკა (პერსონალური კომპიუტერი 1562

ლარის ღირებულებით, ციფრული ვიდეო კამერა 1473 ლარის ღირებულებით და პროექტორი თავისი დაფით 1415 ლარის ღირებულებით), რომელიც გამოყენებული იქნა ხუთი საინფორმაციო კლიპის მოსამზადებლად. ეს კლიპები გავიდა საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ხუთ რეგიონალურ ტელევიზიაში. ასევე, მოეწყო მოძრავი გამოფენა რეგიონებში (ახალქალაქი, ბათუმი, მარნეული, გორი, ქუთაისი), სადაც შეძენილი ელექტროტექნიკის მეშვეობით ადგილობრივ მოსახლეობასთან გაშუქდა აღნიშნული საინფორმაციო კლიპები (კლიპების ბმულები საჯაროდ ხელმისაწვდომია). აღნიშნული ელექტროტექნიკა ასევე გამოყენებულ იქნა პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების მიზნებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული საკითხი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა (წარმოდგენილ იქნა დამადასტურებელი დოკუმენტაცია 87 ფურცლად).

კ) სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი

- აუდიტის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა 2300 ლარის ღირებულების პრიზები (მობილური ტელეფონები) და 5 ცალი ფოტო/ვიდეო კამერა 5000 ლარად. აუდიტორების შეფასების მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ისინი ვერ დარწმუნდნენ ამ ხარჯების გაწევის აუცილებლობასა და მიზნობრიობაში.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აუდიტორები აპელირებას აკეთებენ კანონმდებლობაზე, თუმცა არ ასაბუთებენ კანონის რომელი ნორმა დაირღვა გაწეული ხარჯების პირობებში.

პროექტის არსი და მიზანი იყო ახალგაზრდა ამომრჩევლების გააქტიურება, მათი მოტივირება, ჩაერთონ ქვეყნის მართვის პროცესში არჩევნებში მონაწილეობის გზით. ამ თვალსაზრისით პროექტი იძლეოდა შესაძლებლობას, რომ ახალგაზრდები შეხვედროდნენ თვითმმართველი ქალაქების მერობის კანდიდატებს და წარედგინათ მათ მიერ მომზადებული ვიდეო ბლოგები, რომლებშიც ასახული იყო ახალგაზრდების მოსაზრებები, თუ რისი შეცვლა იყო საჭირო მათ ქალაქებში (სულ მომზადდა 69 ვიდეო ბლოგი - ზუგდიდში, ახალციხეში, გორში, ქუთაისსა და თელავში). ამ ბლოგების მოსამზადებლად შეძენილ და გამოყენებულ იქნა 1000 ლარის ღირებულების 5 ფოტო/ვიდეო კამერა (ქალაქების რაოდენობის შესაბამისად), რაც გათვალისწინებული იყო პროექტის ბიუჯეტით.

კონკურსის შედეგად გამარჯვებული ვიდეო ბლოგების ხუთ ავტორს პროექტის შემაჯამებელ შეხვედრაზე პრიზის სახით გადაეცა ხუთი პლანშეტი (თითო 460 ლარის ღირებულების; პროექტს თან ერთვის ბრძანება კონკურსის შედეგად გამარჯვებული ახალგაზრდების გამოვლენის შესახებ).

- აუდიტის ანგარიშში ასევე ნახსენებია ოფისის იჯარაზე გაწეული ხარჯი 2 126 ლარის ოდენობით.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე რაიმე შეფასება და ანალიზი აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის. ამდენად, ამ ინფორმაციის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში ასახვა საფუძველს მოკლებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული საკითხი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა (წარმოდგენილი იქნა დამადასტურებელი დოკუმენტაცია 35 ფურცლად).

ლ) POST -ალიონი

- აუდიტის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში შეძენილია 3 583 ლარის ღირებულების კომპიუტერი. აუდიტორების შეფასებით ისინი ვერ დარწმუნდნენ გაწეული ხარჯის აუცილობლობასა და მიზნობრიობაში.

აუდიტის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია არ არის ზუსტი, კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციას პროექტის ფარგლებში შეძენილი აქვს არა ერთი კომპიუტერი 3 583 ლარის ღირებულების, არამედ ორი კომპიუტერი (ერთი - 1800 ლარის და მეორე - 1775 ლარის ღირებულების). აღნიშნული ხარჯი გათვალისწინებული იყო პროექტის ბიუჯეტით. პერსონალური კომპიუტერების შეძენის საკითხი პირდაპირ არის განმარტებული საგრანტო პროექტში, სადაც მითითებულია, რომ აღნიშნული ტექნიკის შეძენა მოხდა გურიის გარეთ ოფისებში ვიდეომასალის მონტაჟის და სტუდიაში მზა მასალის ოპერატიულად გადაგზავნის უზრუნველსაყოფად.

- აუდიტის ანგარიშის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციამ შეიძინა 3 985 ლარის საწვავის ტალონები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს საწვავის გახარჯვასთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას (განვლილ მანძილის აღრიცხვას, გასვლისა და დანიშნულების ადგილები). ამასთან, აუდიტორების შეფასებით ისინი ვერ დარწმუნდნენ ამ ხარჯის გაწევის აუცილობლობასა და მიზნობრიობაში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ააიპ „Post ალიონსა“ და შპს „ჩოხატაურის მაცნეს“ შორის 2014 წლის 11 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, საგრანტო პროექტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაკისრებული ჰქონდა ამ უკანასკნელს.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საგრანტო პროექტის მიხედვით, „Post ალიონი“ და შპს „ჩოხატაურის მაცნე“ ამ პროექტს ახორციელებდნენ კოალიციურად, რაც დადგენილი იყო საკონკურსო მოთხოვნით და ითვალისწინებდა პროექტის განხორციელების სავალდებულოობას რეგიონულ მედია საშუალებასთან პარტნიორობის ფარგლებში. ამ თანამშრომლობის საფუძველზე პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაიმიჯნა

შესასრულებელი ვალდებულებები და გასაწევი ხარჯები, რაც გაწერილია როგორც საგრანტო პროექტში, ისე მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

რაც შეეხება საწვავის შეძენის მიზნობრიობას და აუცილებლობას, აღნიშნულიც პირდაპირ განმარტებულია პროექტში, რომლის მიხედვით ამ ხარჯის გაწევა უკავშირდება ჟურნალისტთა მობილური ჯგუფების გადაადგილებას ოზურგეთში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში, თბილისში, ქუთაისში, ქობულეთში, ბათუმსა და ზუგდიდში რუბრიკა „პრესპატრულისთვის“ საარჩევნო საკითხებზე სიუჟეტების მოსამზადებლად. საწვავის ხარჯები გათვალისწინებული იყო პროექტის ბიუჯეტში და არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოდგენილი აქვს კილომეტრაჟის/მოვლენის ადგილის შიდა აღრიცხვის დოკუმენტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული საკითხი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა (წარმოდგენილი იქნა დამადასტურებელი დოკუმენტაცია 24 ფურცლად).

1.3. აუდიტის ანგარიშში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „ის ფაქტი, რომ საკმარისად არ ხორციელდება საგრანტო თანხების მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებული ხარჯვის მონიტორინგი აღნიშნული იყო ცესკოს 2011-2012 წლების აუდიტის ანგარიშშიც“.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე აუდიტორული მსჯელობა დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით:

უპირველესად, შეუძლებელია აუდიტორები ფაქტის კვალიფიკაციას აძლევდნენ მონიტორინგის სისტემის სისუსტეს იმ პირობებში, როდესაც არც წინამდებარე აუდიტის ანგარიშით და არც წინა წლის ანგარიშით არ იქნა დადგენილი გრანტის თანხების არამიზნობრივად ხარჯვის დადასტურებული ფაქტები. როგორც წლებიდან, ისე შარშანდელ აუდიტის ანგარიშებში აუდიტორები გამოთქვამენ მხოლოდ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვერ დარწმუნდნენ გრანტის მიმღები არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან საგრანტო თანხის გახარჯვა მოხდა თუ არა მიზნობრივად და ეფექტიანად. მათი მხრიდან გამოხატული არასაკმარისი რწმუნება კი, რომელიც, თავის მხრივ, არ ეფუძნება ობიექტურად და სრულყოფილად გამოკვლეულ გარემოებებს, მსჯელობასა და ანალიზს, ვერ გახდება დასაბუთებული საფუძველი იმის სამტკიცებლად, რომ მონიტორინგის სისტემა სუსტია. შესაბამისად, აუდიტის ანგარიშში მოყვანილი ასეთი შეფასება უსაფუძვლოა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს იმასაც, რომ 2015 წლის აუდიტის ანგარიშის ზემოაღნიშნული ჩანაწერი, რომელიც 2011-2012 წლების პერიოდს შეეხება, სცდება აუდიტის ანგარიშით განსაზღვრულ აუდიტურ პერიოდს, რომელიც 2013-2014 წლებს მოიცავს.

საჩივრის ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ აუდიტორების მხრიდან მონიტორინგის სისტემის შეფასება გაკეთებულია ყოველგვარი დასაბუთებისა და ანალიზის გარეშე, მათ შორის, არ არის გამოკვლეული მონიტორინგის სისტემის არსი, მისი

განხორციელების მექანიზმები და ინსტრუმენტები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორმა პრეზიდენტს წარუდგინა ინფორმაცია მონიტორინგის ინსტიტუტის თაობაზე, კერძოდ, მონიტორინგი ხორციელდება ცესკოს დადგენილებით დამტკიცებული სამართლებრივი აქტის (დებულების) საფუძველზე, რომლის მიხედვით მონიტორინგი მოიცავს შემდეგ ფორმებსა და ინსტრუმენტებს:

- პროგრამული მონიტორინგი - აღნიშნული მოიცავს საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების კონტროლს, საამისოდ შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის მიერ გასვლითი შემოწმებების საშუალებით.

- მონიტორინგის პროცესში გამჭვირვალობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, არასამთავრობო ორგანიზაციებს ეკისრებათ ვალდებულება სწავლების ცენტრს წარუდგინონ შესაბამისი პერიოდისთვის დაგეგმილი ღონისძიებების გრაფიკი (ღონისძიების შინაარსის, განხორციელების ზუსტი ადგილის და დროის მითითებით), რომელიც ქვეყნდება სწავლების ცენტრისა და ცესკოს ვებგვერდებზე მისი საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული საშუალებას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს გააკონტროლოს საგრანტო პროექტის განხორციელების მიმდინარეობა.

- პროგრამულ მონიტორინგთან ერთად, ასევე ხორციელდება დამოუკიდებელი ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა საგრანტო თანხის მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით, რომელსაც უზრუნველყოფს სწავლების ცენტრის მიერ მოწვეული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

- აღსანიშნავია, რომ მონიტორინგი ხორციელდება შუალედური მონიტორინგისა და შემაჯამებელი მონიტორინგის ფორმით, რაც მნიშვნელოვანია შესაძლო დარღვევების პრევენციისა და დროული რეაგირებისთვის. ამ მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციები საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდულობით წარმოადგენენ შუალედურ და შემაჯამებელ ანგარიშებს დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

- მონიტორინგის პროცესში დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, საგრანტო საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

- საგრანტო პროცესის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად, არასამთავრობო ორგანიზაციებს ასევე მოეთხოვებათ საგრანტო პროექტების შედეგების პრეზენტაცია, რომელსაც ესწრება წარმომადგენლობითი საზოგადოება (ცესკოს წევრები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური

პარტიები, მედიის წარმომადგენლები). ამის მრავალი დამადასტურებელი მასალა ხელმისაწვდომია სწავლების ცენტრის ვებგვერდზე.

ამდენად, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული საკითხი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი ითხოვს, გაუქმდეს აუდიტის ანგარიშის ქვეთავი - „საგრანტო თანხის მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებულად ხარჯვა“.

2. ქვეთავი - „სწავლების ცენტრის მიერ გაცემული გრანტები“

2.1. აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სწავლების ცენტრს არ გააჩნია საგრანტო პროექტების დასრულების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების შემდგომ საქმიანობაზე განგრძობითი მონიტორინგის განხორციელების საკმარისი მექანიზმი.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოცემული აუდიტორული შეფასება ფაქტობრივად ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე უწყვეტი კონტროლის დამყარებას, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობის მიზნებს, მათ შორის, სცდება სწავლების ცენტრის მანდატს, რომელიც ამ უწყებას აღჭურავს მხოლოდ იმ უფლებამოსილებით, რომ მონიტორინგი განხორციელოს მხოლოდ დაფინანსებული საგრანტო პროექტის შესრულებაზე. საგრანტო პროექტის დასრულებისთანავე წყდება ყოველგვარი სამართლებრივი ურთიერთობა სწავლების ცენტრსა და არასამთავრობო ორგანიზაციას შორის და შესაბამისად, საგრანტო პროექტის დასრულების შემდგომ არასამთავრობო სექტორის საქმიანობაზე კონტროლს სწავლების ცენტრი არა თუ არ ახორციელებს, არამედ ვერც განხორციელებს, რადგან ეს არ შეესაბამება კანონმდებლობით დეკლარირებულ დემოკრატიულ მიზნებს, რომელიც უკავშირდება არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობას.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30¹ მუხლი არეგულირებს როგორც არასამთავრობო სექტორის, ისე პოლიტიკური პარტიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფოს მხრიდან მათი დაფინანსების საკითხს. იმ შემთხვევაში, თუკი გაზიარებულ იქნება აუდიტორულ ანგარიშში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე უნდა ხორციელდებოდეს განგრძობითი მონიტორინგი, რათა დადგინდეს, მოხდა თუ არა ინსტიტუციური გაძლიერებისთვის საგრანტო თანხის მიზნობრივად ხარჯვა, გამოდის, რომ იგივე მექანიზმი უნდა იქნეს გამოყენებული პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაშიც, ანუ იმისათვის, რომ დადგინდეს პარტიებზე გაცემული საბიუჯეტო თანხის ხარჯვის მიზნობრიობა, ამ თანხის მიმღებ პარტიებზე უნდა განხორციელდეს მუდმივი დაკვირვება იმის შესაფასებლად გაძლიერდა

თუ არა პარტია ინსტიტუციურად და მამასადამე, მიზნობრივად იქნა თუ არა გახარჯული სახელმწიფო დაფინანსება. ამასთან დაკავშირებით, გაუგებარია როგორ უნდა მოხდეს პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების მონიტორინგი და რა ინდიკატორებით უნდა მოხდეს ამის შეფასება, ასევე, უნდა მოხდეს თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით მათზე გაცემული თანხის დაბრუნება, თუკი შეფასდება, რომ პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია ინსტიტუციურად არ განვითარებულა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან კანონში გამოხატული პოლიტიკური ნება უკავშირდება ისეთი დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობას, როგორცაა პოლიტიკური პლურალიზმი და არასამთავრობო სექტორის განვითარება, და სწორედ ამ მიზნით სახელმწიფოს წვლილი შეაქვს მისი მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის, დახმარების სახით.

საჩივრის ავტორი დამატებით აღნიშნავს, რომ სწავლების ცენტრი ვერ განახორციელებს შემდგომ კონტროლს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე და ვერ დაავალდებულებს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ საგრანტო პროექტების დასრულების შემდგომაც ანგარიშვალდებულება განახორციელონ სწავლების ცენტრის წინაშე, ვინაიდან საგრანტო პროექტის მიღმა ნებისმიერი სხვა აქტივობის/ღონისძიების განხორციელება უკავშირდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სხვა წყაროებიდან ფინანსური სახსრების მობილიზებასა და განკარგვას. ამასთანავე, შემდგომ პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სამოქალაქო განათლების სფეროში სხვა პროექტების განხორციელების შეუძლებლობა, რაც ფინანსური სახსრების მოძიების სირთულეს ან სხვა ფაქტორებს შეიძლება უკავშირდებოდეს, ექვევცემ ვერ დააყენებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მანამდე მიღებული საგრანტო თანხების ხარჯვის მიზნობრიობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული საკითხი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

2.2. აუდიტის ანგარიშში მითითებულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა - ააიპ „ახალი თაობა ახალი ინიციატივა“ და ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით გრანტი მიიღეს როგორც 2012 წელს, ისე - 2013 წელს. ამასთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს შეზღუდვას ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის რამდენჯერმე დაფინანსების თაობაზე. ერთადერთი შეზღუდვა, რაც დადგენილია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30¹ მუხლის მე-10 პუნქტით, ითვალისწინებს, რომ „ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაზე გასაცემი თანხა არ უნდა აღემატებოდეს არასამთავრობო სექტორზე გასანაწილებელი თანხის 10%-ს.“ აღნიშნული ნორმის დარღვევას კი ადგილი არ ჰქონია ზემოხსენებულ არცერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან მიმართებით.

ამასთან, აუდიტის ანგარიში არ შეიცავს რაიმე სამართლებრივ შეფასებას და დასაბუთებას მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით. ამდენად, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში მხოლოდ ფაქტობრივი გარემოების აღწერა საფუძველს მოკლებულია.

2.3. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ გაუგებარია აუდიტის ანგარიშში გაკეთებული მინიშნებები იმის შესახებ, რომ საგრანტო კონკურსის დამატებითი პირობები ითვალისწინებდა კონკურსში მხოლოდ მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ორგანიზაციების მონაწილეობას. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ კონკურსის ფარგლებში საკონკურსო თემატიკად განსაზღვრული იყო „არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა სამოქალაქო განათლების სფეროში საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად“. ამ მიზნის მისაღწევად, იმისთვის, რომ გამოვლენილიყო სამოქალაქო განათლებაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამ მიმართულებით სისტემატურად ახორციელებენ საქმიანობას, დაწესდა შერჩევის დამატებითი კრიტერიუმი, როგორცაა - საარჩევნო და სამოქალაქო განათლების პროექტების განხორციელების გამოცდილება, რაც გონივრულია და პასუხობს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ საგრანტო კონკურსის დამატებითი პირობების შესახებ აუდიტის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია არ არის სრული და ზუსტი. კერძოდ, აუდიტის ანგარიშში მითითებულია, რომ დაფინანსების ოდენობა განისაზღვრებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობის წლების პირდაპირპროპორციულად, მაშინ როდესაც კონკურსის პირობებით დამატებითი შერჩევის კრიტერიუმად განსაზღვრული იყო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საარჩევნო და სამოქალაქო განათლების პროექტების განხორციელების გამოცდილება და არა მათი მოღვაწეობის წლები, რაც არსებითად განსხვავებულია.

საჩივრის ავტორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ აუდიტის ანგარიში არ შეიცავს რაიმე სამართლებრივ შეფასებას და დასაბუთებას მოყვანილ საკითხზე. ამდენად, შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში ამ გარემოებების აღწერა საფუძველს მოკლებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი ითხოვს, გაუქმდეს აუდიტის ანგარიშის ქვეთავი - „სწავლების ცენტრის მიერ გაცემული გრანტები“.

3. ქვეთავი - „სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები -2013 წელი“

ანგარიშის მიხედვით, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ქვემოთ მოცემული დამატებითი თანხების მოთხოვნის აუცილებლობის თაობაზე:

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 სექტემბრის N1354 განკარგულებით პოლიტიკური პარტიებისთვის 2 589 000 (ორი მილიონ ხუთას ოთხმოცდაცხრა ათასი) ლარის გამოყოფის შესახებ;

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის N998 განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნების დაფინანსების მიზნით 3 799 000 (სამი მილიონ შვიდას ოთხმოცდაცხრამეტი ათასი) ლარის გამოყოფის შესახებ.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ანგარიშის ამ ნაწილში არ არის გამოიჯნული ცესკოსა და სწავლების ცენტრისთვის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დამატებითი თანხების ოდენობა, რაც არსებითად მნიშვნელოვანია ანგარიშის მომხმარებელთათვის ზუსტი, სწორი, ობიექტური და სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდებისთვის.

ამასთან, სწავლების ცენტრისთვის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხებთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებს:

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 სექტემბრის N1354 განკარგულების საფუძველზე საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მიზნით სწავლების ცენტრს გამოეყო 309 000 (სამას ცხრა ათასი) ლარი. აღნიშნული თანხის გამოყოფა განაპირობა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2013 წლის აგვისტოში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომელთა თანახმად გაიზარდა კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ოდენობები. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს სწავლების ცენტრის მიერ ბიუჯეტის ამ ნაწილში შესრულების მაჩვენებელმა შეადგინა 100%.

- რაც შეეხება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის N998 განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნების დაფინანსების მიზნით სწავლების ცენტრისთვის სარეზერვო ფონდიდან დამატებით გამოყოფილ თანხას, მისი ოდენობა შეადგენს 87 400 (ოთხმოცდაშვიდი ათას ოთხასი) ლარს. აღნიშნული თანხის გამოყოფა დაკავშირებული იყო საარჩევნო პერიოდის გახანგრძლივებასთან და ამასთან დაკავშირებით კანონმდებლობის შესაბამისად საქმიანობის შესრულებასთან (არჩევნები გამოცხადდა 2013 წლის 1 ივლისს, კენჭისყრის დღედ განისაზღვრა 27 ოქტომბერი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სარეზერვო ფონდიდან სწავლების ცენტრისთვის თანხები გამოიყო კანონმდებლობის სრული დაცვით და ათვისებულ იქნა კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი ითხოვს, რომ ანგარიშის ქვეთავში - „სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები - 2013“ შევიდეს ცვლილება და შესაბამისად, სწავლების ცენტრის ნაწილში ეს საკითხი ამოღებულ იქნეს.

4. ქვეთავი - „სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები -2014 წელი“

აუდიტის ანგარიშის მიხედვით, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 ივნისის N1138 განკარგულებით 2014 წლის 15 ივნისს ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურის ნაწილობრივ დაფინანსებისათვის 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის დამატებითი მოთხოვნის აუცილებლობის თაობაზე.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ანგარიშის ამ ნაწილშიც არ არის გამოჩენილი ცესკოსა და სწავლების ცენტრისთვის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დამატებითი თანხების ოდენობა, რაც არსებითად მნიშვნელოვანია ანგარიშის მომხმარებელთათვის ზუსტი, სწორი, ობიექტური და სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდებისთვის.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სწავლების ცენტრს სარეზერვო ფონდიდან დამატებით გამოეყო 6 100 (ექვსი ათას ასი) ლარი პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მიზნით. აღნიშნული თანხის გამოყოფა განაპირობა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაში განხორციელებულმა ცვლილებებმა. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს სწავლების ცენტრის მიერ ბიუჯეტის ამ ნაწილში შესრულების მაჩვენებელმა შეადგინა 100%.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სარეზერვო ფონდიდან სწავლების ცენტრისთვის თანხები გამოიყო კანონმდებლობის სრული დაცვით და ათვისებულ იქნა კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ამდენად, საჩივრის ავტორი ითხოვს, რომ ანგარიშის ქვეთავში - „სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები - 2014“ შევიდეს ცვლილება და შესაბამისად, სწავლების ცენტრის ნაწილში ეს საკითხი ამოღებულ იქნეს.

5. შტატგარეშე მოსამსახურეები

აუდიტის ანგარიშის მიხედვით, სწავლების ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ხდებოდა ტრენერების შრომის ანაზღაურების თანხის განსაზღვრა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ როდესაც აუდიტორი უთითებს, რომ დოკუმენტაცია არასაკმარისია, აღნიშნული უნდა ნიშნავდეს იმას, რომ არსებობს კანონმდებლობა, რომლითაც განსაზღვრულია იმ აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა შედგენა ევალება ადმინისტრაციულ ორგანოს სახელფასო განაკვეთების განსაზღვრისათვის. მხოლოდ ასეთი ნორმატიული კრიტერიუმის არსებობის პირობებში და მასთან შესაბამისობის შეფასებით შეიძლება გამოთქვამდეს აუდიტორი მოსაზრებას არასაკმარისი დოკუმენტაციის შესახებ. აუდიტის ანგარიშში კი არ არის დასახელებული ის ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს ხელფასის დაანგარიშების წესს და იმ დოკუმენტების სახეობას, რომლის მომზადებაც ევალებოდა სწავლების ცენტრს.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა ხდება დამსაქმებლისა და დასაქმებულის შეთანხმების საფუძველზე. ამასთან, სწავლების ცენტრის მიერ წარდგენილ იქნა ინფორმაცია ტრენერთა ხელფასების გამოთვლასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ხელფასის დაანგარიშება ეფუძნება შემდეგ პარამეტრებს: ჩასატარებელი ტრენინგების რაოდენობა, საკურატორო უბნების რაოდენობა, სატრენინგო დღეების რაოდენობა, ტრენინგის ჩატარების ადგილი რეგიონულ ჭრილში. საჩივრის ავტორის განმარტებით, ხელფასის ოდენობის ამ მეთოდით გამოთვლა მიზნად ისახავს ტრენერების მიერ გაწეული სხვადასხვა მოცულობის სამუშაოს ანაზღაურებას სამართლიანობისა და შესაბამისობის პრინციპების დაცვით.

ამდენად, საჩივრის ავტორი ითხოვს, რომ ანგარიშის ქვეთავში - „შტატგარეშე მოსამსახურეები“ შევიდეს ცვლილება და შესაბამისად, სწავლების ცენტრის ნაწილში ეს საკითხი ამოღებულ იქნეს.

6. ქვეთავი - „დანამატები“

აუდიტის ანგარიშის მიხედვით, სწავლების ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რითაც დადასტურდებოდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ხანგრძლივობა და შესაბამისად ზეგანაკვეთური მუშაობისათვის გაცემული დანამატების ოდენობის განსაზღვრის საფუძველი.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ზემოთ მოყვანილი აუდიტორული შეფასება არაარგუმენტირებული და უსაფუძვლოა, შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით:

- სწავლების ცენტრის შრომის შინაგანაწესის მე-2 მუხლის მიხედვით, სწავლების ცენტრის თანამშრომლებისათვის სამუშაო დღე იწყება 10:00 საათზე და სრულდება 19:00 საათზე, ხოლო სამუშაო დღის განმავლობაში შესვენება განისაზღვრება 13:00 საათიდან 14:00 საათამდე. შესაბამისად, სწავლების ცენტრის თანამშრომლებისათვის სამუშაო დროის ხანგრძლივობა კვირაში შეადგენს 40 საათს;

- 2013 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის სწავლების ცენტრის დირექტორის 2013 წლის 2 ივლისის N66 ბრძანებით სწავლების ცენტრის

თანამშრომლებისათვის უქმე და დასვენების დღეები გამოცხადდა სამუშაო დღეებად, ხოლო სამუშაო დღის დასაწყისი განისაზღვრა 09:00 საათიდან (ნაცვლად 10:00 საათისა). შესაბამისად, სამუშაო დროის ხანგრძლივობამ კვირაში შეადგინა 63 საათი, აქედან ზეგანაკვეთური საათების ოდენობამ - 23 საათი;

- „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებიდან გამომდინარე, ზეგანაკვეთური სამუშაო ასევე გულისხმობს სადღესასწაულო დღეებში მუშაობას. 2013 წლის საარჩევნო პერიოდმა მოიცვა 28 აგვისტო - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა) და 14 ოქტომბერი - მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე. ამ დღესასწაულების კვირებში ზეგანაკვეთური საათების რაოდენობამ შეადგინა 31-31 საათი;

- 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის სწავლების ცენტრის დირექტორის 2014 წლის 15 აპრილის N76 ბრძანებით სწავლების ცენტრის თანამშრომლებისათვის უქმე და დასვენების დღეები გამოცხადდა სამუშაო დღეებად. შესაბამისად, სამუშაო დროის ხანგრძლივობამ კვირაში შეადგინა 56 საათი, აქედან ზეგანაკვეთური საათების ოდენობამ - 16 საათი;

- „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებიდან გამომდინარე, ზეგანაკვეთური სამუშაო ასევე გულისხმობს სადღესასწაულო დღეებში მუშაობას. 2014 წლის საარჩევნო პერიოდმა მოიცვა: სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი; 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე; 12 მაისი – საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე; 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. ამ დღესასწაულების კვირებში ზეგანაკვეთური საათების რაოდენობამ შეადგინა 24-24 საათი.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები ცხადჰყოფს, რომ არსებობდა ზეგანაკვეთური მუშაობისათვის დანამატების გაცემის სამართლებრივი საფუძველი, რომელიც ეფუძნება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ დადგენილ დამსაქმებლის ვალდებულებას, აანაზღაუროს დასაქმებულის მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ სწავლების თანამშრომელთა მიერ რეალურად იყო შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო, ამის დადგენა მარტივად იყო შესაძლებელი, ვინაიდან, მაგალითად, სწავლების ცენტრში მოქმედებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, საიდანაც შეიძლება მოძიებულ იქნას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამუშაო დოკუმენტები შექმნილია ზეგანაკვეთური სამუშაო რეჟიმის დროს; ასევე ამ რწმუნების მიღება შეიძლება ამ პერიოდში შექმნილი სხვა სამუშაო პროდუქტების გაცნობით.

ამასთან, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ არასწორი შეფასებებია გაკეთებული სწავლების ცენტრის თანამშრომლებზე გაცემული დანამატის ოდენობასთან დაკავშირებით, კერძოდ, თითქოს 2013 და 2014 წლების საარჩევნო პერიოდში დანამატი გაცემულია ზოგ შემთხვევაში თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, ხოლო ზოგ შემთხვევაში თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ან სამმაგი ოდენობით. ამასთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებას:

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საარჩევნო პერიოდში სწავლების ცენტრის თანამშრომლებს ეძლევათ თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობა. „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებიდან გამომდინარე, თანამდებობრივი სარგო არის ნომინალური თვიური ხელფასის ოდენობა, რომელიც დადგენილია მუშაკისათვის მისი დაკავებული თანამდებობის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, საარჩევნო პერიოდში სწავლების ცენტრის თანამშრომლებზე ორმაგი ოდენობით გაცემული თანამდებობრივი სარგო წარმოადგენს საარჩევნო პერიოდში ნომინალური თვიური ხელფასის ოდენობას და არასწორია მსჯელობა იმის შესახებ, რომ გაზრდილი ოდენობის სარგო მოიცავს ზეგანაკვეთური სამუშაოს განხორციელებისათვის დასაქმებულზე გასაცემ დანამატს.

ამასთანავე, საქართველოს შრომის კოდექსის მე-17 მუხლის მიხედვით, ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. შესაბამისად, საარჩევნო პერიოდში ზეგანაკვეთური საქმიანობისთვის დანამატის გაანგარიშება ხორციელდება აღნიშნულ პერიოდში მოქმედი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის გათვალისწინებით. ამდენად, 2013-2014 წლების საარჩევნო პერიოდში გაწეული ზეგანაკვეთური საქმიანობისთვის სწავლების ცენტრის თანამშრომლებზე დანამატი გაიცა თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ან 150%-ის ოდენობით და არა თანამდებობრივი სარგოს 200%-ის და 300%-ის ოდენობით, როგორც ეს აუდიტის ანგარიშშია აღნიშნული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი ითხოვს, რომ ანგარიშის ქვეთავში - „დანამატები“ შევიდეს ცვლილება და შესაბამისად, სწავლების ცენტრის ნაწილში ეს საკითხი ამოღებულ იქნეს.

7. ქვეთავი - „მივლინებები“

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშის საფუძველზე მივლინებებთან დაკავშირებით მომხმარებელთათვის სწორი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშის ამ ნაწილში დაზუსტდეს, რომ საპარლამენტო სწავლების საერთაშორისო ცენტრის (ICPS) მიერ ორგანიზებულ მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმზე დასასწრებად ოფიციალური მიწვევის წერილის მიხედვით მიწვეული იყვნენ სწავლების ცენტრის დირექტორი და ამავე ცენტრის დირექტორის მოადგილე.

აუდიტის ანგარიშის მიხედვით, სწავლების ცენტრის თანამშრომლები ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინებისას უმეტეს შემთხვევაში სარგებლობდნენ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტით, არამედ სწავლების ცენტრის მიერ სხვადასხვა მეწარმე სუბიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებებით. აუდიტორების მიერ აღნიშნულია, რომ მათ ვერ მიიღეს საკმარისი რწმუნება იმის თაობაზე, თუ რამდენად იყო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მივლინებისას დასახული მიზნების მიღწევის ყველაზე მისაღები გზა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშში არ არის მოცემული ანალიზი და გამოკვლევა ამ მიმართულებით, რაც სწავლების ცენტრს, როგორც აუდიტის ობიექტს დაარწმუნებდა იმაში, რომ აუდიტორთა შეფასება სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ღონისძიების არაეფექტიანობის თაობაზე ეფუძნება ობიექტურ და სამართლიან საფუძვლებს.

საჩივრის ავტორმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30¹ მუხლის შესაბამისად, სწავლების ცენტრი ახორციელებს:

- საარჩევნო და არასაარჩევნო პერიოდში სასწავლო პროგრამებს საქართველოს მასშტაბით (მაგ. დაახლოებით 4400 ტრენინგი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისათვის, სემესტრული სწავლებები თბილისსა და რეგიონებში აკრედიტებული 19 უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, ტრენინგები არჩევნებში ჩართული სხვადასხვა მხარისთვის);
- არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტების გაცემას;
- მის მიერ იმპლემენტირებული სასწავლო პროგრამების, დაფინანსებული საგრანტო პროექტებისა და კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარე სხვა აქტივობების მონიტორინგის უზრუნველყოფას.

საქმიანობის ინტენსივობისა და მასშტაბების გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სწავლების ცენტრის მიერ ზემოაღნიშნული ფუნქციების სრულფასოვნად და ეფექტიანად შესრულების მიზნით, სატრანსპორტო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები არის კანონშესაბამისი და რაციონალური.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი ითხოვს, რომ ანგარიშის ქვეთავში - „მივლინებები“ შევიდეს ცვლილება და შესაბამისად, სწავლების ცენტრის ნაწილში ეს საკითხი ამოღებულ იქნეს.

8. ქვეთავი - წარმომადგენლობითი ხარჯი

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სწავლების ცენტრი არ არის წარმომადგენლობით ხარჯთან დაკავშირებით ამ ქვეთავში მოყვანილი აუდიტორული შეფასებების ადრესატი.

ამდენად, საჩივრის ავტორი ითხოვს, რომ ანგარიშის ქვეთავში - „წარმომადგენლობითი ხარჯები“ შევიდეს ცვლილება და სწავლების ცენტრის ნაწილში ეს საკითხი ამოღებულ იქნეს.

9. ქვეთავი - „სწავლების ცენტრის კუთვნილ ავტომობილზე გაწეული ხარჯი“

აუდიტის ანგარიშის მიხედვით, სწავლების ცენტრის ბალანსზე ირიცხება 2010 წელს გამოშვებული მაღალი გამავლობის ავტომობილი Hyundai Tucson, რომლის საწყისი (ისტორიული) ღირებულება შეადგენს 29,820 ლარს, ხოლო ნარჩენი ღირებულება 2014 წლის ბოლოს 13,121 ლარს. 2013-2014 წლებში აღნიშნულ ავტომობილზე გაწეულმა ფაქტობრივმა ხარჯმა 13,203 ლარი შეადგინა, რაც ავტომობილის საწყისი (ისტორიული) ღირებულების 44.3%-ია. აუდიტის შეფასების მიხედვით, ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპების გათვალისწინებით, ავტომობილის წლოვანებიდან და მის მიმდინარე რემონტზე გაწეული ხარჯებიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება, თუ რამდენად გამართლებულია აღნიშნული ავტომობილის ფლობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2011-2012-2013-2014 წლებში ავტომობილზე გაწეული მიმდინარე რემონტის ხარჯი სტაბილურია და მერყეობს 15-19%-ის ფარგლებში საწყის ღირებულებასთან მიმართებაში (2014 წელს ხარჯის ზრდა გამოწვეული იყო უკანა ხიდის დაზიანებით, რომლის შეკეთებისათვის სწავლების ცენტრმა გადაიხადა 2500 ლარი, ასევე, ზამთრის და ზაფხულის საბურავების შეძენით (2481 ლარი), რომლის შეცვლის აუცილებლობა წარმოიქმნება 4 წლის ინტერვალით). ამასთან, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ 2015 წლის 11 თვის მონაცემებით საწყის ღირებულებასთან მიმართებით ავტომობილზე გაწეული ხარჯი შეადგენს 7%. მაშასადამე, ცალსახად იკვეთება, რომ წლებთან ერთად ავტომობილზე გაწეული ხარჯი არ იზრდება, ვინაიდან სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს მის გამართულ მდგომარეობაში ყოფნას. ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ არაფინანსური აქტივების უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის ნორმების დაცვა კი ნებისმიერი უწყების, მათ შორის, სწავლების ცენტრის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებაა.

ამასთან, აუდიტის ჯგუფის შეფასება ავტომობილზე გაწეული ხარჯის არაეკონომიურობასა და არაეფექტიანობის შესახებ მოითხოვს თავად აუდიტორების, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან შესაბამის დასაბუთებას ობიექტურად განსაზღვრულ საფუძვლებსა და არგუმენტაციაზე მითითებით, რაც ანგარიშში მოცემული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი ითხოვს, გაუქმდეს აუდიტის ანგარიშის ქვეთავი - „სწავლების ცენტრის კუთვნილ ავტომობილზე გაწეული ხარჯი“.

10. ქვეთავი - „შესყიდვებისას გადახდილი დღე“

აუდიტის ანგარიშის მიხედვით, სწავლების ცენტრსა და ცესკოს არ გააჩნიათ ერთიანი კანონშესაბამისი პოზიცია ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვისას ხელშეკრულების ფასში დღე-ის გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიგნების ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა დღე-ისგან განთავისუფლებულია. ამის საფუძველზე, სწავლების ცენტრის მიერ სახელმძღვანელოების ბეჭდვის მომსახურება შესყიდულია დღე-ის გარეშე. ამასთან, აუდიტის ანგარიში არ შეიცავს დასაბუთებას იმის შესახებ, თუ რატომ არ არის ზემოაღნიშნული შემსყიდველი ორგანიზაციების ქმედება კანონშესაბამისი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი ითხოვს, გაუქმდეს აუდიტის ანგარიშის ქვეთავი - „შესყიდვებისას გადახდილი დღე“.

11. ქვეთავი - „შესყიდვების დაგეგმვა და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა“

აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სწავლების ცენტრის მიერ 2013-2014 წლებში განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების ნაწილი განხორციელებულია შესყიდვების წლიურ გეგმაში წინასწარი რეგისტრაციის გარეშე. ამასთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სწავლების ცენტრის მიერ ePLAN მოდულში რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა თავიდანვე ითვალისწინებდა ინტერნეტის ქსელების მომსახურების, ბეჭდვის მომსახურების, სატრანსპორტო მომსახურების, პრინტერის ნაწილებისა და აქსესუარების შესყიდვის მუხლებს.

აუდიტის ანგარიშის მიხედვით, რიგ შემთხვევებში, ნაბეჭდი პროდუქციის ბეჭდვის მომსახურების სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულებებს შორის სხვაობა არაგონივრულად მაღალია. ამ საკითხთან დაკავშირებით სწავლების ცენტრმა განმარტა, რომ სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულებებს შორის ფასთა სხვაობა განპირობებული იყო იმ პერიოდში სასტამბო ბიზნესში წარმოშობილი კრიზისით, რომელიც გაგრძელდა 2014 წელსაც და გამოიწვია მომსახურების საბაზრო ფასების მნიშვნელოვანი დაცემა. აღნიშნული ფორსმაჟორული გარემოების შესახებ სწავლების ცენტრისთვის ცნობილი გახდა ტენდერის შედეგების ფაქტობრივად დადგომის შემდგომ, ხოლო ტენდერის გამოცხადებამდე ჩატარებული ბაზრის კვლევის მონაცემებით აღნიშნული გარემოების არსებობა არ გამოკვეთილა.

საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სწავლების ცენტრის მიერ პოტენციური მიმწოდებლებისა და ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრის მიზნით, ბაზრის კვლევა ხორციელდება შესასყიდი საქონლის მოცულობისა და წარსული გამოცდილების გათვალისწინებით შესაბამის სფეროში მოქმედ კომპანიებთან კონსულტაციის, ინტერნეტ-

რესურსებით, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდის საშუალებით ინფორმაციის მოძიებისა და პოტენციურ მიმწოდებლებთან მოლაპარაკების საფუძველზე.

აუდიტის ანგარიშში მითითებულია, რომ სწავლების ცენტრს უფლება ჰქონდა მოეთხოვა ხელშეკრულების შესრულების გარანტია, ვინაიდან საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იყო შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, თუმცა ეს უფლება არ გამოუყენებია. ამასთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 21-ე მუხლის 2¹ პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მოთხოვნა წარმოადგენს შემსყიდველის უფლებას და არა ვალდებულებას. ამასთანავე, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ასეთი უფლების გამოუყენებლობით არანაირი ზიანი არ დამდგარა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი ითხოვს, გაუქმდეს აუდიტის ანგარიშის ქვეთავი - „შესყიდვების დაგეგმვა და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა“.

12. ქვეთავი - „პრინტერის შესყიდვა“

12.1. საჩივრის ავტორი, აღნიშნავს რომ სწავლების ცენტრის მიერ პრინტერის შესყიდვა განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციების სრული დაცვით. კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში არ იყო მითითებული სასაქონლო ნიშანი, პატენტი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი. ამდენად, საფუძველს მოკლებულია აუდიტის ანგარიშში ამ ნორმის მოყვანა სწავლების ცენტრის მიერ ჩატარებულ ტენდერთან დაკავშირებით.

აუდიტის ანგარიშში ასევე მითითებულია შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციებზე, რომ „დაუშვებელია სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციების მორგება ერთი რომელიმე ბრენდის ან მოდელის პროდუქტზე“. საჩივრის ავტორი, აღნიშნავს რომ ამავე რეკომენდაციების მიხედვით ეს დანაწესი წარმოადგენს კონკურენტულობის პრინციპს, რომელსაც უნდა პასუხობდეს გამართულად შემუშავებული შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაცია. ამ პრინციპის დარღვევას კი ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც შესყიდვის ობიექტში მითითებული მახასიათებლები პირდაპირ მიაწინებს სასაქონლო ნიშანზე, პატენტზე, მოდელზე, წარმოშობის წყაროზე ან მწარმოებელზე. მაგალითად, თუ გამოცხადებულია ტენდერი მობილური ტელეფონის შესაძენად და ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ მობილური ტელეფონი უნდა მუშაობდეს IOS ოპერაციულ სისტემაზე, აღნიშნული ოპერაციული სისტემა ექსკლუზიურად

გზვდება მხოლოდ “APPLE”-ის ტელეფონებზე და ამდენად, ასეთი მახასიათებლები პირდაპირ მიუთითებს შესასყიდი ობიექტის ბრენდზე. იგივე მაგალითის პირობებში, თუკი მითითებული იქნებოდა, რომ ტელეფონს უნდა ჰქონოდა 5 მეგაპიქსელიანი ფოტოკამერა, 8 გიგაბაიტიანი მეხსიერება, 512 მეგაბაიტიანი ოპერატიული მეხსიერება, ასეთი კონკრეტული მახასიათებლების სიმრავლე ვერ შეფასდება როგორც კონკრეტულ ბრენდზე ან მოდელზე შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციების მორგებად და შესაბამისად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს მე-12¹ მუხლის მე-6 პუნქტის დარღვევად.

საჩივრის ავტორი, აღნიშნავს რომ სწავლების ცენტრის მიერ შესასყიდი პრინტერის აღწერილობაში მითითებული ტექნიკური მახასიათებლები (მეხსიერება, მყარი დისკის მოცულობა, პროცესორის სიხშირე, პირველი გვერდის გამოსვლის დრო და სხვა) არანაირად არ მიუთითებს რომელიმე კონკრეტულ მოდელზე, პატენტზე, სასაქონლო ნიშანზე ან მწარმოებელზე.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ შესასყიდი ობიექტის აღწერილობაში მითითებული ტექნიკური მახასიათებლები გამოხატავდა მინიმალურ მოთხოვნებს, რასაც საჭიროა აკმაყოფილებდეს მიმწოდებლის მხრიდან წარდგენილი საქონელი, რაც უზრუნველყოფდა იმის შესაძლებლობას, რომ პოტენციურ მიმწოდებლებს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიეწოდებინათ ამ პარამეტრების ან უფრო მაღალი პარამეტრების პრინტერი.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს ბაზარზე არც ერთ სადისტრიბუციო კომპანიას არ გააჩნია ექსკლუზიური უფლება ამა თუ იმ ფირმის პრინტერის რეალიზაციასთან დაკავშირებით და რაც თანაბარ მდგომარეობაში აყენებს ნებისმიერ მიმწოდებელს, რომელსაც შეუძლია შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროების დაკმაყოფილება.

ამასთანავე, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციების მიხედვით წარმატებული შესყიდვის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ორგანიზაციის საჭიროების ნათლად და ზედმიწევნით ჩამოყალიბება, რაც განაპირობებს მიღებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შემსყიდველი ორგანიზაციის მოლოდინთან შესაბამისობას და ამით ფულის ღირებულების მაქსიმალურ ეფექტიანობას უზრუნველყოფს. შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ თავისი საჭიროებების არასრულყოფილად ჩამოყალიბება განაპირობებს ისეთი ალტერნატივების დაშვებას, რომლის შედეგად ხორციელდება საქონლის/მომსახურების შესყიდვა, რომელიც შეუსაბამობაშია შემსყიდველი ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებთან, რაც თანხის არაეფექტურად ხარჯვის ტოლფასია. შესაბამისად, პრინტერის, როგორც შესყიდვის ობიექტის ხასიათისა და სწავლების ცენტრის, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებების გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულ იქნა შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციები, რომლებიც პასუხობს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებებს, კერძოდ,

სწავლების ცენტრის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი იყო ისეთი პრინტერის შეძენა, რომელიც უზრუნველყოფდა მოცულობითი მასალების (ამომრჩეველთა სიების, ამომრჩეველთა ბარათების, ჩანაწერთა წიგნების, სახელმძღვანელოებისა და სხვა მასალის) შემჭიდროვებულ ვადებში სწრაფად ბეჭდვას, ადამიანური რესურსის მაქსიმალური დაზოგვით. ამდენად, სწავლების ცენტრის სატენდერო კომისიის მიერ ჩამოყალიბებული სატენდერო პირობები არის როგორც კანონშესაბამისი, ასევე ეფექტიანი.

საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტორულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სწავლების ცენტრის მხრიდან არ მომხდარა შესასყიდი საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლების განსაზღვრა, როგორიცაა შესასყიდი ობიექტის მდგომარეობა. კერძოდ, სწავლების ცენტრმა სატენდერო დოკუმენტაციაში და მიმწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაადგინა, რომ პრინტერი უნდა ყოფილიყო ნივთობრივად უნაკლო და ასევე, მოთხოვნილ იქნა საგარანტიო ვადა - არა ნაკლებ ერთი წელი. რაც შეეხება აუდიტორთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უფრო მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ სწავლების ცენტრს დაეზუსტებინა შესასყიდი ობიექტი უნდა ყოფილიყო ახალი, თუ ექსპლუატაციაში ნამყოფი, არც აღნიშნულს იზიარებს საჩივრის ავტორი, ვინაიდან ნივთის სიახლე არ გამორიცხავს ნივთობრივ ნაკლს და შესაბამისად, ამის განსაზღვრით ჩნდება საჭიროებასთან შეუსაბამო შესყიდვის ობიექტის მიღების რისკი. ამასთანავე, ასეთი ნაკლებად მნიშვნელოვანი მოთხოვნის ჩადებამ შესაძლებელია შეამციროს პოტენციურ მიმწოდებელთა ბაზა. ამასთანავე, საჩივრის ავტორმა წარადგინა ინფორმაცია, რომ სწავლების ცენტრის მიერ ამ შესყიდვის ფარგლებში შეძენილი პრინტერი არის როგორც ნივთობრივად უნაკლო, ისე ახალი. ამიტომ ამ თემაზე აუდიტის ანგარიშში საუბარი არის უსაგნო და უსაფუძვლო.

გარდა ამისა, საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტორულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სწავლების ცენტრის მიერ არასაკმარისი სამუშაო გაწეული საგარანტიო პირობების განსაზღვრის მიზნით, ვინაიდან დაუზუსტებელია მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლება-მოვალეობების ფარგლები. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ გარანტია აღებული იქნა იმაზე, რომ პრინტერი უნდა ყოფილიყო ნივთობრივად უნაკლო, შესაბამისად, თუკი საგარანტიო ვადის განმავლობაში გამოვლიდებოდა პრინტერის ნივთობრივი ნაკლი, სწავლების ცენტრი იმოქმედებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული რეგულაციებით, რომელიც სრულყოფილად უზრუნველყოფს მხარეთა უფლება-მოვალეობების რეგულირებას სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია აუდიტის ანგარიშში გაკეთებული მითითება იმის შესახებ, რომ სწავლების ცენტრის მიერ არასაკმარისი სამუშაო გაწეული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით. თუ რა მოიაზრება ამაში და რის საფუძველზე გამოთქვას აუდიტორებმა ეს მოსაზრება, ანგარიშში ამის შესახებ საუბარი არ არის.

ამასთან, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სწავლების ცენტრის მიერ პრინტერისა და თავსებადი კვების წყაროს სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მიზნით ბაზრის კვლევა განხორციელდა შესასყიდი საქონლის მოცულობისა და წარსული სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით სასტამბო სფეროში მოქმედ კომპანიებთან კონსულტაციისა და ინტერნეტ-რესურსებით ინფორმაციის მოძიების საფუძველზე. იმაზე, რომ სწავლების ცენტრის მიერ სათანადოდ იყო ჩატარებული სამუშაო ბაზრის კვლევის მიმართულებით, მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ტენდერის პირობებში დაფიქსირებულ სავარაუდო ღირებულებასა და ვაჭრობის შედეგად დაზუსტებულ საბოლოო ფასს შორის სხვაობა არის დაბალი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე აუდიტის ანგარიშში მოცემული შეფასებები დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

12.2. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ავტომანქანა წარმოადგენს მოძრავ ნივთს და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არ არის დაკავშირებული რაიმე სახის რეგისტრაციის პროცესთან. შესაბამისად, ავტომანქანის სარეგისტრაციო დოკუმენტში არსებული ჩანაწერი მესაკუთრის შესახებ არ წარმოშობს საკუთრების უფლებას მასზე, რასაც ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n69-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>). შესაბამისად, სწავლების ცენტრს არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი მოეთხოვა მიმწოდებლისთვის სუბკონტრაქტორებთან დადებული ხელშეკრულებების წარმოდგენა. ამდენად, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე აუდიტის ანგარიშში მოცემული შეფასებები დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, იმის გათვალისწინებითაც, რომ არანაირი ზიანი არ დამდგარა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი ითხოვს, გაუქმდეს აუდიტის ანგარიშის ქვეთავი - „პრინტერის შესყიდვა“.

მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის ფრიდონ შენგელიას წერილით (რეგ.: N2587/01 07.12.15წ.) წარმოდგენილ იქნა მოსაზრებები სწავლების ცენტრის საჩივართან დაკავშირებით, რომლის მიხედვით მოწინააღმდეგე მხარე მიიჩნევს, რომ სწავლების ცენტრის საჩივრის მოთხოვნა არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სწავლების ცენტრის საჩივრის განხილვის შედეგად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდენტმა დაადგინა:

1. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, აუდიტი ტარდება დასაბუთებული რწმუნების პრინციპზე დაყრდნობით, რაც მოითხოვს აუდიტის იმგვარად ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნას საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ, შეიცავს თუ არა აუდიტის ობიექტის საქმიანობა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებით შეუსაბამობის ფაქტებს. ამის მხედველობაში მიღებით, პრეზიდენტმა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული აუდიტის ანგარიში არ შეიცავს აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე შესაბამისი კრიტერიუმების, გარემოებებისა და მტკიცებულებების განხილვასა და ანალიზს, რაზე დაყრდნობითაც გამოითქვა აუდიტორული მოსაზრება იმის შესახებ, რომ აუდიტორი ვერ დარწმუნდა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან საგრანტო თანხების კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებულად ხარჯვაში. ამასთანავე, აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები რიგ შემთხვევებში შეიცავს არსებით უზუსტობებს, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

საქმეში არსებული მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილი არასამთავრობო ორგანიზაციების წერილობითი მომართვების განხილვის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საფუძვლების გამოკვლევის, ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე პრეზიდენტმა მივიდა დასკვნამდე, რომ სწავლების ცენტრის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემული საგრანტო თანხების ხარჯვა შესაბამისობაშია საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და ბიუჯეტთან.

პრეზიდენტმა ასევე მიიჩნევს, რომ სწავლების ცენტრის დაკვეთით სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის მომსახურება ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საგრანტო თანხების მიზნობრივად ხარჯვის დადგენას, რაც დასტურდება 2013-2014 წლების საგრანტო კონკურსის დებულებით, სწავლების ცენტრსა და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებითა და მათ საფუძველზე შედგენილი ექსპერტიზის დასკვნებით. საქმეში არსებული დოკუმენტაციით აგრეთვე დგინდება სწავლების ცენტრის მიერ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე სათანადო რეაგირების განხორციელების ფაქტები.

ზემოთ მოყვანილი გარემოებების მხედველობაში მიღებით, პრეზიდენტმა მიუთითებს, რომ ანგარიშში გამოთქმული აუდიტორული მოსაზრება იმის შესახებ, რომ

საკმარისად არ ხორციელდება საგრანტო თანხების მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებულად ხარჯვის მონიტორინგი, საფუძველს მოკლებულია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, პრეზიდიუმმა გადაწყვიტა გაუქმდეს გასაჩივრებული აუდიტის ანგარიშის ქვეთავი - „საგრანტო თანხის მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებულად ხარჯვა“.

2. პრეზიდიუმი არ იზიარებს გასაჩივრებულ აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ აუდიტორულ მოსაზრებას საგრანტო სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც სწავლების ცენტრის წინაშე არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების დადგენისა და მათ შემდგომ საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე უწყვეტი მონიტორინგის მექანიზმის დაწესება არ შეესაბამება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30¹ მუხლით დეკლარირებულ მიზნებს არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობის შესახებ. ამდენად, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, საგრანტო პროექტით დაფინანსებული ღონისძიებების შესრულებასა და მათ უზრუნველსაყოფად გაცემული საგრანტო თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე.

აქედან გამომდინარე, პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, რომ გაუქმდეს გასაჩივრებული აუდიტის ანგარიშის ქვეთავი - „სწავლების ცენტრის მიერ გაცემული გრანტები“, ვინაიდან ზემოთ მოყვანილი აუდიტორული მოსაზრება უსაფუძვლოა, ხოლო იმ გარემოებების აღწერა, რომელიც წინ უძღვის ამ აუდიტორულ მოსაზრებას, აუდიტის ანგარიშის დანიშნულების თვალსაზრისით კარგავს მომხმარებლისათვის ინფორმაციულ ღირებულებას.

3. 2013 წელს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების საკითხზე საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ იქნა დასაბუთება, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 სექტემბრის N1354 განკარგულების საფუძველზე, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მიზნით სწავლების ცენტრისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განაპირობა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2013 წლის აგვისტოში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომელთა თანახმადაც გაიზარდა კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ოდენობები.

საჩივრის ავტორის მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა დასაბუთება, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის N998 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნების დაფინანსების მიზნით სწავლების ცენტრისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა დაკავშირებული იყო საარჩევნო პერიოდის გახანგრძლივებასთან და ამასთან დაკავშირებით კანონმდებლობის შესაბამისად საქმიანობის შესრულებასთან (არჩევნები გამოცხადდა 2013 წლის 1 ივლისს, კენჭისყრის დღედ განისაზღვრა 27 ოქტომბერი).

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პრეზიდიუმი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის აუცილებლობა დასაბუთებულია და ამდენად, სწავლების ცენტრის ნაწილში ეს საკითხი ამოღებულ უნდა იქნეს. აღნიშნულის შესაბამისად ცვლილებები განხორციელდეს აუდიტის ანგარიშის ქვეთავში - სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები (2013 წელი).

4. 2014 წელს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების საკითხზე საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ იქნა დასაბუთება, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 ივნისის N1138 განკარგულებისა და მასში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის N1447 განკარგულების საფუძველზე, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მიზნით სწავლების ცენტრისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განაპირობა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაში განხორციელებულმა ცვლილებებმა.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, პრეზიდიუმი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის აუცილებლობა დასაბუთებულია და ამდენად, სწავლების ცენტრის ნაწილში ეს საკითხი ამოღებულ უნდა იქნეს. აღნიშნულის შესაბამისად ცვლილებები განხორციელდეს აუდიტის ანგარიშის ქვეთავში - სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები (2014 წელი).

5. შტატგარეშე მოსამსახურეების - ტრენერების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით, მათ შორის, აუდიტის ჯგუფის განმარტებებით დასტურდება, რომ ტრენერთა შრომის ანაზღაურება დადგენილია შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე და მისი ოდენობის დაანგარიშება ხორციელდება სწავლების ცენტრის მიერ წინასწარ განსაზღვრული პარამეტრების გათვალისწინებით (ჩასატარებელი ტრენინგების რაოდენობა, საკურატორო უბნების რაოდენობა, სატრენინგო დღეების რაოდენობა, ტრენინგების ჩატარების ადგილი რეგიონულ ჭრილში).

პრეზიდიუმი მიუთითებს, რომ აუდიტის ანგარიში არ შეიცავს აუდიტორის პროფესიულ მსჯელობას იმის შესახებ, თუ რატომ იქნა აღნიშნული დოკუმენტაცია და ინფორმაცია მიჩნეული არასაკმარის და არაშესაფერის მტკიცებულებად შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ამასთანავე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ და საკასაციო სასამართლოს განმარტების¹ მხედველობაში მიღებით, პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის დასაქმებულის ხელფასს განსაზღვრავს დამსაქმებელი სამართლიანი ანაზღაურების სახით, იმ ოდენობით, რამდენადაც მას უღირს ამ სამუშაოს

¹ საქმის ნომერი: ას-1634-1533-2012, თარიღი: 24.09.2013, კანონი: საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, სფერო: შრომის ანაზღაურება.

შესრულება, მიუხედავად იმისა, რა სამუშაოს შესრულებას ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულება.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პრეზიდიუმი ადგენს, რომ აუდიტორული მოსაზრება არ ეფუძნება ობიექტურად განსაზღვრულ სამართლებრივ საფუძვლებს, ამდენად, გასაჩივრებული აუდიტის ანგარიში ამ ნაწილში გაუქმებულ უნდა იქნეს.

6. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის ზეგანაკვეთური საქმიანობისთვის გაცემული დანამატების ოდენობების შესახებ აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილ მონაცემთა სისწორეს, კერძოდ, აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ საფუძველზე სწავლების ცენტრის თანამშრომლებზე ორმაგი ოდენობით გაცემული თანამდებობრივი სარგო წარმოადგენს საარჩევნო პერიოდისათვის დადგენილ თვითური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთს და შესაბამისად, სწორედ მასთან თანაფარდობით უნდა გაეანგარიშებინა აუდიტორს საარჩევნო პერიოდში ზეგანაკვეთური საქმიანობისთვის გაცემული დანამატების ოდენობები. აღნიშნულის გათვალისწინებით კი, 2013-2014 წლების საარჩევნო პერიოდში სწავლების ცენტრის თანამშრომლებზე დანამატი გაიცა თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ან 150%-ის ოდენობით და არა 200%-ის და 300%-ის ოდენობით.

პრეზიდიუმი არ იზიარებს აუდიტის ჯგუფის შეფასებას, რომლის კონტექსტიდან გამომდინარე, ორმაგი ოდენობის თანამდებობრივი სარგო განხილულია ზეგანაკვეთური საქმიანობისთვის გასაცემი დანამატის ალტერნატივად. პრეზიდიუმი მიუთითებს, რომ აღნიშნული სამართლებრივი კატეგორიები, მათი არსისა და გაცემის პირობების გათვალისწინებით, განსხვავებულია. ამდენად, აუდიტის ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ზეგანაკვეთური მუშაობისათვის დანამატის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის სამართლებრივ შეფასებას, უნდა შეიცვლოს შესაბამისი რეკომენდაციის სახით.

7. პრეზიდიუმი, საქმეში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, დასაბუთებულად მიიჩნევს საარჩევნო საკითხთა მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმზე სწავლების ცენტრის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის მივლინების მიზნობრიობას, კერძოდ, ოფიციალური მიწვევის წერილით დასტურდება, რომ ამ სიმპოზიუმზე დასასწრებად მიწვეული იყვნენ სწავლების ცენტრის ზემოაღნიშნული წარმომადგენლები. ამის გათვალისწინებით, პრეზიდიუმი ადგენს, რომ აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში განხორციელდეს ცვლილება ინფორმაციის დაზუსტების მიზნით.

სწავლების ცენტრის თანამშრომელთა ქვეყნის შიგნით მივლინებებთან დაკავშირებით აუდიტის ანგარიშში მითითებულია, რომ „ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპების გათვალისწინებით აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება იმის თაობაზე, თუ რამდენად იყო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მივლინებებისას დასახული მიზნების მიღწევის ყველაზე მისაღები გზა“. აღნიშნულთან დაკავშირებით პრეზიდიუმი მიუთითებს ეფექტიანობის აუდიტის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებზე (ISSAI 300), რომლის მიხედვით აუდიტის ანგარიშში ეკონომიურობისა და ეფექტიანობის საკითხები აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორული რწმუნება დასაბუთებულია და ემყარება საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პრეზიდიუმი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში ქვეყნის შიგნით მივლინებებთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული ჩანაწერის არსებობა საფუძველს მოკლებულია და ამოღებულ უნდა იქნეს.

8. აუდიტის ჯგუფი ადასტურებს, რომ აუდიტის ანგარიშის ქვეთავში, რომელიც წარმომადგენლობით ხარჯებს შეეხება, კანონშესაბამობის თაობაზე აუდიტორული შეფასების ადრესატია მხოლოდ ცესკო, ხოლო მითითება სწავლების ცენტრზე ატარებს მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს. ამდენად, აუდიტორები ეთანხმებიან საჩივრის ავტორის მოთხოვნას ამ ნაწილის დაზუსტების შესახებ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პრეზიდიუმი ადგენს, რომ აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში შევიდეს ცვლილება და ამოღებულ იქნეს მითითება სწავლების ცენტრზე.

9. პრეზიდიუმი ადგენს, რომ გაუქმდეს გასაჩივრებული აუდიტის ანგარიშის ქვეთავი - „სწავლების ცენტრის კუთვნილ ავტომობილზე გაწეული ხარჯი“, სამოტივაციო ნაწილის მე-7 პუნქტში ქვეყნის შიგნით მივლინებებთან დაკავშირებით მოცემული მსჯელობის გათვალისწინებით.

10. აუდიტის ანგარიშის ქვეთავში - „შესყიდვებისას გადახდილი დღგ“ აღნიშნულია, რომ „როგორც ცესკოს, ისე სწავლების ცენტრს არ გააჩნიათ ერთიანი კანონშესაბამისი პოზიცია ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვისას ხელშეკრულების ფასში დღგ-ის გათვალისწინებასთან დაკავშირებით“. კერძოდ, ანგარიშში მითითებულია, რომ წიგნის ფორმით დაბეჭდილი სხვადასხვა სახის სახელმძღვანელოების ბეჭდვით მომსახურებაში ცესკოს მიერ მიმწოდებლისთვის გადახდილია დღგ, ხოლო ანალოგიური სახეობის ბეჭდვის მომსახურება სწავლების ცენტრის მიერ შესყიდულია დღგ-ს გარეშე.

ამავე ქვეთავში მითითება კეთდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან განთავისუფლებულია წიგნების ბეჭდვის მომსახურების გაწევა. ამასთან, აუდიტის ანგარიშში არ შეიცავს დასაბუთებას იმის შესახებ, თუ რატომ არ არის

ზემოაღნიშნული შემსყიდველი ორგანიზაციების ქმედება კანონშესაბამისი. აუდიტორული მსჯელობა შემოიფარგლება მხოლოდ მითითებით იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ცესკოს და სწავლების ცენტრს მიემართა შემოსავლების სამსახურისათვის დასაბეჭდი პროდუქციის სასაქონლო კოდის განსაზღვრის მიზნით წინასწარი გადაწყვეტილების გამოსაცემად და ამის მიხედვით მოეხდინათ რეაგირება დღგ-ის გადახდით ან დღგ-ის გადახდის გარეშე ბეჭდვის მომსახურების შესყიდვის საკითხზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პრეზიდიუმი მიუთითებს, რომ აუდიტორული შეფასება ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვისას შემსყიდველი ორგანიზაციების კანონშესაბამო პოზიციის შესახებ დაუსაბუთებელია. ამდენად, ზემოაღნიშნული ქვეთავი გაუქმებულ უნდა იქნეს.

11. შესაბამისობის აუდიტის ანგარიში, თავისი მასშტაბიდან გამომდინარე, ითვალისწინებს აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას. აღნიშნულის გათვალისწინებით, პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ აუდიტის ანგარიშში მითითება იმის შესახებ, რომ სწავლების ცენტრს გამარჯვებული მიმწოდებლისთვის არ მოუთხოვია ხელშეკრულების შესრულების გარანტია, საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებულ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს“, რომლის 21-ე მუხლის 2¹ პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მოთხოვნა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებას და არა ვალდებულებას და ამასთანავე, არ დასტურდება ასეთი უფლების გამოუყენებლობით ზიანის მიღების ფაქტი.

ამდენად, პრეზიდიუმი ადგენს, რომ აუდიტის ანგარიშის ქვეთავიდან - „შესყიდვების დაგეგმვა და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა“ ეს ნაწილი ამოღებულ უნდა იქნეს.

12. პრეზიდიუმი ადგენს, რომ პრინტერისა და სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების მომსახურების შესყიდვის საკითხები შეუსაბამობის სახით არ არის გამოვლენილი, ამასთან, ქვეთავი - „პრინტერის შესყიდვა“ შეიცავს ანალიზსა და რეკომენდაციებს შესყიდვების მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით და მიზნად ისახავს ამ მიმართულებით შემსყიდველი ორგანიზაციის საქმიანობის ხელშეწყობას. ამდენად, აუდიტის ანგარიშის აღნიშნული ქვეთავი დარჩეს უცვლელად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

ხელმძღვანელობს რა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტითა და 29-ე მუხლით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ მე-9 მუხლის მე-12 პუნქტით,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

პრეზიდიუმმა

გადაწყვიტა:

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის 2015 წლის 2 დეკემბრის N182 საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგ.: N2551/01 02.12.15წ.) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

1. გაუქმდეს აუდიტის ანგარიშის ქვეთავი - „საგრანტო თანხის მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებულად ხარჯვა“ და ამავე ანგარიშის შემაჯამებელი მიმოხილვის მე-2 პუნქტი.
2. გაუქმდეს აუდიტის ანგარიშის ქვეთავი - „სწავლების ცენტრის მიერ გაცემული გრანტები“ და ამავე ანგარიშის შემაჯამებელი მიმოხილვის პირველი პუნქტი.
3. აუდიტის ანგარიშის ქვეთავში - „სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები - 2013“ შევიდეს ცვლილება და ამოღებულ იქნეს ჩანაწერი სწავლების ცენტრის შესახებ.
4. აუდიტის ანგარიშის ქვეთავში - „სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები - 2014“ შევიდეს ცვლილება და ამოღებულ იქნეს ჩანაწერი სწავლების ცენტრის შესახებ.
5. აუდიტის ანგარიშის ქვეთავში - „შტატგარეშე მოსამსახურეები“ შევიდეს ცვლილება და ამოღებულ იქნეს ჩანაწერი სწავლების ცენტრის შესახებ (გვ.14, პირველი აბზაცი).
6. აუდიტის ანგარიშის ქვეთავში - „დანამატები“ შეიცვალოს მე-15 გვერდის მე-4 აბზაცი და მე-18 გვერდის პირველი აბზაცი შესაბამისი რეკომენდაციის სახით.

7. აუდიტის ანგარიშის ქვეთავში - „მივლინებები“ შევიდეს ცვლილება სწავლების ცენტრის წარმომადგენლების ქვეყნის გარეთ მივლინების საკითხზე ინფორმაციის დაზუსტების მიზნით (გვ. 18, მე-3 აბზაცი) და ამოღებულ იქნეს მე-19 გვერდის მე-3-მე-4 აბზაცები.

8. აუდიტის ანგარიშის ქვეთავში - „წარმომადგენლობითი ხარჯები“ შევიდეს ცვლილება და ამოღებულ იქნეს ჩანაწერი სწავლების ცენტრის შესახებ (გვ. 20, პირველი აბზაცი). ასევე, შესაბამისი ცვლილება შევიდეს ამავე ანგარიშის შემაჯამებელი მიმოხილვის მე-20 პუნქტში.

9. გაუქმდეს აუდიტის ანგარიშის ქვეთავი - „სწავლების ცენტრის კუთვნილ ავტომობილზე გაწეული ხარჯი“ და ამავე ანგარიშის შემაჯამებელი მიმოხილვის 21-ე პუნქტი.

10. გაუქმდეს აუდიტის ანგარიშის ქვეთავი - „შესყიდვებისას გადახდილი დღგ“ და ამავე ანგარიშის შემაჯამებელი მიმოხილვის მე-8 პუნქტი.

11. აუდიტის ანგარიშის ქვეთავიდან - „შესყიდვების დაგეგმვა და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა“ ამოღებულ იქნეს 38-ე გვერდის პირველი-მე-6 აბზაცები და შევიდეს ცვლილება ამავე ანგარიშის შემაჯამებელი მიმოხილვის მე-13 პუნქტში.

12. აუდიტის ანგარიშის შემაჯამებელი მიმოხილვის მე-14 პუნქტი ამოღებულ იქნეს, ხოლო ქვეთავი - „პრინტერის შესყიდვა“ დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

გენერალური აუდიტორი,

პრეზიდენტის სხდომის თავმჯდომარე

ლაშა თორდია

